ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №377

(მომსახურების თაობაზე)

ქ. ბათუმი 17 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, **აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის** (შემდგომში „შემსყიდველი"), თავმჯდომარე მამია ბერძენიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ა(ა)იპ-„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო"-ს** (შემდგომში „მიმწოდებელი"), დირექტორი გიორგი ჩხეიძის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა „შემსყიდველისათვის" უზრუნველყოს კლასიფიკატორის კოდით (CPV-63712400 ავტოსადგომების მომსახურება) გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება, კერძოდ პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობის უფლება თვითმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე, შემსყიდველის კუთვნილი ავტომანქანით **„ჰიუნდაი სონატა"** შემდეგი სახელმწიფო ნომრით **FXF-950**, ხოლო „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურეობა და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია, პარკირების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში (საგადახდო დავალებაში) სწორად მიუთითოს მხარეებს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი ან/და ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში მონაცემების უსწოროდ ან არ დაფიქსირებისას გამოწვეულ შემდგომ სამართლებრივ შედეგებზე (ჯარიმა) მიმწოდებელი პასუხს არ აგებს.

3. მომსახურების მიწოდების პირობები.

3.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. 365 (სამასამოცდახუთი) დღის განმავლობაში მსუბუქი ავტომობილის პარკირების სარგებლობისათვის საფასური შეადგენს **40** (ორმოცი) ლარს, შესაბამისად, შესასყიდი მომსახურების მთლიანი ღირებულებაა **40 (ორმოცი)** ლარი.

4.2. მომსახურების ღირებულება წარმოადგენს „თვითმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და ტაქსების პარკირების ადგილებით სარგებლობისთვის საფასურის დადგენის შესახებ" თვითმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებით გათვალისწინებულ გადასახადს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია „შემსყიდველი".

4.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.4. „შემსყიდველი" ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ანგარიშსწორებას ახორციელებს სათანადო დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურის) საფუძველზე.

4.5. შემსყიდველის მიერ პარკირების სარგებლობისათვის საფასური გადახდილად ჩაითვლება გადახდის დღიდან (გააქტიურებიდან) და მოქმედებს მომდევნო 365 (სამასსამოცდახუთი) დღის განმავლობაში.

5. გარანტია

5.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, გაწეული მომსახურების ხარისხიანობაზე.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებების გადაცემა

7.1. „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობები შეუსრულებლობის გამო

9.1. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ან მისი ნაწილი.

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შეხრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აჭარის ა.რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ს/კ 245427809 მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86 ბანკის კოდი – TBCBGE22 *ა/ნ №GE62 TB79 0173 60101000 15* დეპარტამენტის თავმჯდომარე მამია ბერძენიშვილი	ა(ა)იპ -„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო" ს/კ 445405348. იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №81. მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში: 740747499 დირექტორი გ. ჩხეიძე